

სამოქალაქო სამართალი

ბესარიონ ზოიძე

კურსი 1 შუალედური №1

1. სამოქალაქო სამართლის ცნება და სისტემა

სამოქალაქო სამართალი, როგორც სამართლის ერთ-ერთი დარგი, სამართლის სხვა დარგებისგან განსხვავდება იმით, რომ მას აქვს რეგულირების თავისი საგანი, სფერო და მეთოდი ე.ი. აწესრიგებ, არეგულირებს გარკვეული სახის საზოგადოებრივ ურთიერთობებს გარკვეულ სუბიექტებს შორის და განსხვავებული, მათთვის დამახასიათებელი წესით, მეთოდით. . სამოქალაქო კოდექსის საგანს შეადგენენ:

1. კერძო ხასიათის ქონებრივი ურთიერთობები.
2. საოჯახო ურთიერთობები.
3. პირადი ურთიერთობები.

სამოქალაქო სამართალის ამოცანა, პირველ რიგში, ქონებრივი ურთიერთობების მოწესრიგებაა. თავის მხრივ ქონებრივი ურთიერთობები არის ისეთი საზოგადოებრივი ურთიერთობა, რომელიც დაკავშირებულია ნებით განსაზღვრულ წარმოებით ურთიერთობასთან და რომელსაც აქვს გარკვეული ეკონომიკური ფასეულობა. სამართალი ორ ნაწილად იყოფა – კერძო და საჯარო სამართლად. სამართლის ის ნაწილი, რომელიც აწესრიგებს კერძო პირთა შორის თანასწორუფლებიანობის საფუძველზე წარმოშობილ ურთიერთობებს, კერძო სამართალი ეწოდება. კერძო სამართლებრივი ურთიერთობის მაგალითებია ნასყიდობა, ჩუქება, ქირავნობა და სხვ. რაც შეეხება, საჯარო სამართალს ეს არის სახელმწიფოსათვის დაწერილი სამართალი, რომლის საფუძველზე სახელმწიფო და მისი ორგანოები დაკისრებულ მოვალეობებს ასრულებენ. მისი მაგალითებია სამშენებლო ნებართვა, სამეწარმეო საქმიანობაზე ლიცენზიის გაცემა და ა.შ. სამოქალაქო სამართალი აწესრიგებს პირთა თანასწორობაზე დამყარებულ კერძო ხასიათის ქონებრივ, საოჯახო და პირად ურთიერთობებს. სამოქალაქო საერთაშორისო კერძო სამართლის ნაწილია. სამოქალაქო სამართალს მიიჩნევენ ზოგად კერძო სამართლად სპეციალური სამართლის მიმართ. კერძო სამართლის სპეციალურ დარგებს განეკუთვნება: მეწარმეთა, ინტელექტუალური საკუთრების, შრომის და საკორპორაციო სამართალი. ხოლო საჯარო სამართლის სისტემას განეკუთვნება : სახელმწიფო, კონსტიტუციური, საგადასახადო, საბაჟო და საპროცესო სამართალი.

სამოქალაქო სამართალით მოწესრიგებული ურთიერთობების უმეტესობა ქონებრივი ხასიათისაა. ეს ურთიერთობა წარმოიშობა ქონებრივ სიკეთეებთან დაკავშირებით, მიუხედავად იმისა, ქონებრივი სიკეთე მატერიალურია თუ არამატერიალური. სამოქალაქო კოდექსი საოჯახო ურთიერთობებსაც აწესრიგებს. თავისი ბუნებით საოჯახო ურთიერთობები შეიძლება იყოს პირადიც და ქონებრივაც.

სამოქალაქო სამართლით მოწესრიგებულ ურთიერთობათა ჩამონათვალი სრულდება პირადი ურთიერთობებით. მათში იგულისხმება სახელის, პატივისა და ღირსების, საქმიანი რეპუტაციის და ა.შ დაცვა. სამოქალაქო სამართალი კერძო პირთა სამართალია.

2. კერძო და საჯარო სამართლის გამიჯვნა

კერძო და საჯარო სამართალი არ არიან ერთმანეთისაგან იზოლირებული. კერძო და საჯარო სამართლის ურთიერთგამიჯვნის პრობლემამ განსხვავებული თეორიები წარმოშვა. მათგან ყველაზე უფრო გავრცელებულია: ინტერესების, სუბორდინაციისა და სუბიექტების თეორიები. ინტერესების თეორიის მიხედვით, გამიჯვნისათვის გადამწყვეტია ის, თუ ვისი ინტერესები სარგებლობს უპირატესობით სამართლებრივი რეგულირებისას. მაგრამ აქ არის ერთი გარემოება კერძო და საჯარო პირებსაც შეუძლიათ ერთმანეთის ინტერესებს ემსახურობდნენ. სუბორდინაციის თეორიის თანახმად, საჯარო სამართლისათვის დამახასიათებელია ურთიერთდაქვემდებარება ურთიერთობებში, მაშინ როცა კერძო სამართალი აწესრიგებს თანასწორუფლებიანთა შორის ურთიერთობებს. თუმცა კერძო სამართალშიც არსებობს ურთიერთდაქვემდებარებული ურთიერთობები და პირიქით საჯაროში თანასწორუფლებიანობაზე დამყარებული ურთიერთობები. მაგრამ, სუბორდინაციული თეორიის მნიშვნელოვან ნაკლად ითვლება ისიც, რომ იგი საერთოდ იგნორირებას უკეთებს საჯარო – სახელმეკრულებო სამართალს. რაც შეეხება სუბიექტების თეორიას, სამართლის დაყოფას კერძო და საჯარო სამართლად საფუძვლად უდევს ურთიერთობაში მონაწილე სუბიექტთა სტატუსი, უფრო ზუსტად ის, თუ რა უფლებამოსილება აქვს ურთიერთობათა მონაწილეს. სუბიექტების თეორიიდან განვითარდა სპეციალური თეორია, რომლის თანახმად საჯარო სამართალი არის სახელმწიფო ხელისუფლების სპეციალური სამართალი, ხოლო კერძო სამართალი – ზოგადი სამართალი ყველასათვის.

3. სამოქალაქო სამართლის კოდიფიკაცია

1997 წლის 26 ივნისს საქართველოს პარლამენტმა ერთხმად მიიღო დამოუკიდებელი საქართველოს პირველი სამოქალაქო კოდექსი. მისი შედგენა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის კედლებში პროფესორ სერგო ჯორბენაძის ხელმძღვანელობით დაიწყო, იუსტიციის სამინისტროს დიდი მხარდაჭერით მიმდინარეობდა და პარლამენტში ერთწლიანი გულმოდგინე განხილვის შედეგად დასრულდა. კოდექსი უნდა ყოფილიყო ის ხიდი, რომელსაც უნდა დაეკავშირებინა საქართველო დასავლეთის კულტურულ სამყაროსთან. სამოქალაქო კოდექსის მნიშვნელობა დიდია

ნებისმიერი ქვეყნისათვის, რომელიც კერძო საკუთრებას, სამეწარმეო საქმიანობისა და ხელშეკრულების თავისუფლებას აღიარებს. შემთხვევით არ უწოდებენ მას ეკონომიკური ცხოვრების კონსტიტუციასაც. სამოქალაქო კოდექსის შექმნის აუცილებლობა სხვა ყოფილ საბჭოთა რესპუბლიკებშიც იქნა დანახული. ამ საქმეში ინიციატივა რუსეთმა აიღო ხელში. კოდექსის შემუშავებაში მონაწილეობის მისაღებად საქართველოც მიიწვიეს. იმავე პერიოდში ჩაეყარა საფუძველი გერმანელ კოლეგებთან თანამშრომლობას, რომელსაც სათავეში ედგა, ბრემენის უნივერსიტეტის პროფესორი როლფ კნიპერი. სამოქალაქო კოდექსის ცალკეული ნაწილები ითარგმნა გერმანულად, რათა გერმანელ კოლეგებს ექსპერტიზა ჩაეტარებინათ. სამოქალაქო კოდექსი არ დაწერილა როგორც გარდამავალი ეპოქის კანონი. იგი იქმნებოდა როგორც კანონი, რომელმაც მრავალ ათასწლეულს უნდა გაუძლოს. სამოქალაქო კოდექსის საფუძველზე საქართველოში ასპარეზზე გამოვიდნენ ახალი თაობის ქართველი იურისტები. სამოქალაქო კოდექსმა საფუძველი ჩაუყარა ქართული ცივილისტიკის განვითარებას. სამოქალაქო კოდექსმა სრულყოფილად მოაწესრიგა იურიდიული პირების სამართლებრივი სტატუსი და სხვა ჩვენი საზოგადოებისათვის მნიშვნელოვანი საკითხები.

4. სამოქალაქო სამართლის წყაროები

მეცნიერები ასახელებენ სამოქალაქო სამართლის წყაროთა ორ სახეს: სახელმწიფოს მიერ მიღებულ კანონსა და ჩვეულებას. კანონის ცნება ფართო გაგებით გამოიყენება და მასში იგულისხმება არა მხოლოდ საკუთრივ კანონი, არამედ ნებისმიერი სახელმწიფო აქტი, რომელიც სამართლის ნორმას შეიცავს. ასეთ აქტს ეწოდება ნორმატიული აქტი. ნორმატიულ აქტებში განტკიცებულ სამართლის ნორმათა ერთობლიობას უწოდებენ პოზიტიურ სამართალს. რაც შეეხება ჩვეულებით სამართალს, იგი წარმოიშობა მოსახლეობის მიერ ხანგძლივი გამოყენებისა და ხალხის მართლშეგნებაში მათი დამკვიდრების შედეგად. სამართლის წყაროთა იერარქია დამოკიდებულია სახელმწიფო ორგანოთა ლეგიტიმაციის დონეზე.

კანონი სამართლის უმთავრესი წყაროა. ერთმანეთისგან განსხვავდება კანონი ფორმალური გაგებით და კანონო მატერიალური გაგებით. ფორმალური გაგებით კანონად მიიჩნევა მხოლოდ პარლამენტის ან რეფერენდუმის გზით მიღებული ნორმატიული აქტები. მატერიალური გაგებით კანონად ჩაითვლება ყველა ნორმატიული აქტი, მათ შორის საკუთრივ კანონიც, რომელიც კომპეტენტური ორგანოს მიერ არის მიღებული. სამოქალაქო კოდექსმა ჩვეულებებიც სამართლის წყაროდ აღიარა. ჩვეულებანი ხანგრძლივი გამოყენების შედეგად ყალიბდება და წერილობითი ფორმით არ არის დაფიქსირებული. ისინი გამოიყენება მხოლოდ მაშინ, თუ ისინი არ ეწინააღმდეგება სამართლისა საყოველთაოდ აღიარებულ ნორმებს. ჩვეულებითი სამართლის ბევრი ნორმა საფუძველი გახდა საკანონმდებლო ნორმის

ჩამოყალიბებისთვის. ჩვეულების არსებობის დადასტურება ან აღირება სასამართლოს მიერ ჯერ კიდევ არ ნიშნავს, რომ იგი იქნება გამოყენებული.

5. საქართველოს სამოქალაქო კოდექსის სისტემა

საქართველოს სამოქალაქო კოდექსის სისტემა პანდექტური სამართლის სისტემას შეესატყვისება. მას აქვს ზოგადი ნაწილი, რომელიც საერთოა მთელი კერძო სამართლისათვის. განსხვავებით დსთ-ს მოდელური სამოქალაქო კოდექსისგან, რომელსაც ყოვლისმომცველი კანონის პრეტენზია ჰქონდა და ამის გამო ყველაფერი იყო მასში მოთავსებული, საქართველოს სამოქალაქო კოდექსი სხვა გზით წავიდა. ის ურთიერთობები, რომლებიც სხვა კანონებში იყო მოწესრიგებული, სამოქალაქო კოდექსში არ შესულა ან არ შევიდა იმდენად, რამდენადაც ეს აუცილებელი იყო ლოგიკურ-სამართლებრივი კავშირის დასამყარებლად. მაგალითად, სამეწარმეო იურიდიული პირის მომწესრიგებელი ნორმები მთლიანად შევიდა კანონში მეწარმეთა შესახებ ისე, რომ პარალელური ნორმები სამოქალაქო კოდექსში არ არის.

საკანონმდებლოა ტექნიკის თვალსაზრისით, ეს აუცილებელია იმისთვის, რომ თავიდან აციცილოთ ერთმანეთის საწინააღმდეგო ნორმები. საქართველოს სამოქალაქო კოდექსმა ეს შეძლო.

სამოქალაქო კოდექსში მნიშვნელოვანი სიახლეა ის, რომ საოჯახო სამართალი მთლიანად კოდექსში შევიდა. პოსტსაბჭოთა სივრცეში საქართველო პირველი ქვეყანაა, რომელმაც კვლავ აღადგინა კლასიკური სამოქალაქო კოდექსების ტრადიცია და საოჯახო სამართალს სამოქალაქო კოდექსში მიუჩინა ადგილი.

სამოქალაქო კოდექსი 6 წიგნისგან შედგება: ზოგადი დებულება, სანივთო (ქონებრივი) სამართალი, ვალდებულებითი სამართალი, ინტელექტუალური საკუთრების სამართალი, საოჯახო სამართალი, მემკვიდრეობის სამართალი.

ინტელექტუალური საკუთრების სფეროდან სამოქალაქო კოდექსმა სრულად მოაწესრიგა მხოლოდ საავტორო სამართალი. რაც შეეხება სამრეწველო საკუთრების საკითხებს, ისინი ცალკე კანონებში მოწესრიგდება.

6. სამოქალაქო კანონთა განმარტება, განმარტების მნიშვნელობა და ხერხები. კანონისა და სამართლის ანალოგია.

თანამედროვე ცხოვრებისეული ურთიერთობები იმდენად რთულია, რომ მათი მოწესრიგება შეუძლებელია რამდენიმე ისეთი მარტივი წინადადებით, რომლის გაგება

საზოგადოების უკანასკნელ წევრსაც კი შეეძლება. ლოგიკა და ენის კარგად ფლობა ამისთვის სრულიად არ არის საკმარისი. აუცილებელი გახდა კანონთა განმარტება, იურისტების მოვალეობაა გაარკვიონ მოსახლეობა თანამედროვე რთულ სოციალურ თუ საკანონმდებლო ლაბირინთებში. კანონის განმარტება ნიშნავს კანონის ბუნდოვანი ადგილების დაზუსტებას, ტექსტის მნიშვნელობის დადგენას. ფართო გაგებით განმარტება სამართლის განვითარებასაც ნიშნავს და იგი გულისხმობს, ერთი მხრივ, ნორმების ჩამოყალიბებას კანონისა და სამართლის ანალოგიის საფუძველზე, ხოლო მეორე მხრივ, ნორმების განვითარებას ზოგადი დებულებებიდან. კანონთა განმარტებამ თვითნებობის ხასიათი რომ არ მიიღოს გარკვეულ პრინციპებს ემყარება, მათგან ყველაზე მნიშვნელოვანია:

1. **ობიექტურობის პრინციპი:** მისი არსი იმაში მდგომარეობს რომ მაქსიმალურად ცდილობდეს დაადგინოს კანონის ჭეშმარიტი არსი კანონის ტექსტის საფუძველზე.
2. **ერთიანობის პრინციპი:** კანონის თითოეული ნორმა კანონთან ერთად უნდა წაიკითხოს და განიხილოს და არა მისგან მოწყვეტილად.
3. **გენეტიკური განმარტების პრინციპი:** ტექსტის განმარტებისას უნდა გავითვალისწინოთ მისი წარმოშობა, წარმოშობის ობიექტური, ენობრივი, კულტურული და საზოგადოებრივი პირობები, ასევე ავტორებიც.
4. **განმარტება შედარებების მეშვეობით:** განმარტება ხდება ანალოგიურ სფეროში და ანალოგიურ დროს წარმოშობილი კანონთა ტექსტებთან ურთიერთშეფარდების საშუალებით.

ახსნა განმარტების ხერხებია:

1. გრამატიკული
2. ლოგიკური
3. სისტემატიკური
4. ისტორიულ-პოლიტიკური
5. სპეციალურ -იურიდიული
6. ფუნქციონალური

ფართო გაგებით განმარტება სამართლის განვითარებასაც ნიშნავს. მას მიეკუთვნება: -
ნორმების ჩამოყალიბები ანალოგიის საფუძველზე
-ნორმების განვითარება ზოგადი დებულებებიდან, როგორიცაა რწმენა და ნდობა, ზნეობა ან ნებისმიერი „მნისწველოვანი საფუძველიდან გამომდინარე“

როცა კანონი ბუნდოვანია, ხარვეზი აქვს ან არ არსებობს სათანადო ნორმა გამოყენებული უნდა იყოს ანალოგიური, ყველაზე უფრო მსგავსი ურთიერთობის

მომწესრიგებელი ნორმა ამას **კანონის ანალოგია** ეწოდება. მაგრამ, როცა ანალოგიური ნორმაც არ არსებობს, ასეთ შემთხვევასი ურთიერთობა უნდა მოწესრიგდეს სამართლის ზოგადი პრინციპების საფუძველზე, სამართლიანობის, კეთილსინდისიერებისა და ზნეობის მოთხოვნების შესაბამისად ამას **სამართლის ანალოგია** ეწოდება.

7. სამოქალაქო სამართლის ნორმები

სახელმწიფო სამოქალაქო სამართლის მონაწილეებს უფრო მეტ თავისუფლებას ანიჭებს, ვიდრე სამართლის სხვა დარგებში. აქედან გამომდინარე, სამოქალაქო სამართალში ნორმათა დაყოფა **დისპოზიციურ (ius dispositum)** და **იმპერატიულ (ius cogens)** ნორმებად უაღრესად მნიშვნელოვანია და დამახასიათებელია სამართლის ამ დარგისთვის. სამოქალაქო სამართლის ძირითადი პრინციპი – კერძო ავტონომია სწორედ დისპოზიციური ნორმების წყალობით მიიღწევა. დისპოზიციური სამართლის ნორმები მხარეებს შესაძლებლობას აძლევს დეტალურად არ განსაზღვრონ ყველა საკითხი მომავალ ურთიერთობებში. დისპოზიციური ნორმების თავისებურება ისაა, რომ ისინი მოქმედებენ მაშინ, როცა მხარეებმა გამოტოვეს ხელშეკრულებაში რაიმე საკითხი ან არასრულად მოაწესრიგეს იგი. დისპოზიციური ნორმების გარდა, სამოქალაქო სამართალი იცნობს ასევე ნორმებს, რომელთა შეცვლა მხარეებს არ შეუძლია და ამ ნორმების შესრულება სავალდებულოა ორივე მხარისთვის. ესაა იმპერატიული ნორმები, რომელთა რაოდენობა თანამედროვე სამოქალაქო სამართალში საკმაოდ დიდია. იმპერატიული ნორმების დახასიათებისას ცალკე გამოყოფენ ე.წ. „ფარდობითად იმპერატიულ ნორმებს“. მათი ფარდობითი ხასიათი იმაში გამოიხატება, რომ ისინი მხოლოდ ერთი მხარისთვისაა იმპერატიული. სამოქალაქო კოდექსი ცალკე არ მიუთითებს თუ რომელია დისპოზიციური ნორმა და რომელი იმპერატიული ეს უნდა დაზუსტდეს კონკრეტული ნორმის განმარტების დროს.

სამოქალაქო სამართალი ურთიერთობებს აწესრიგებს აბსტრაქტული, ზოგადი ნორმების საშუალებით რაც საშუალებას იძლევა ნორმა მივუსადაგოტ სხვადასხვაგვარ ურთიერთობებს. ამავდროულად, ცხოვრებასთან მიახლოების შესაძლებლობას იძლევა კანონი ე.წ. **განუსაზღვრელი ნორმების** ჩამოყალიბებით, რომლებსაც ძირითადად დირექტივების სახე აქვს. ამგვარ ზოგად დებულებებს სამოქალაქო კოდექსი ბევრ ადგილას იყენებს: „კეთილსინდისიერად“, „სამართლიანობის შესაბამისად“, „სათანადო ვადა“, „მნიშვნელოვანი საფუძვლების არსებობისას“ და ა.შ. ზოგადი ნორმების შემთხვევაში გადამწყვეტი მნიშვნელობისაა თუ რა ღირებულებებს ემყარება მთლიანად ის საზოგადოება რომლისთვისაცაა შექმნილი მოცემული სამართლის ნორმა.

ვითარებას როდესაც სამართლის ნორმები სხვადასხვაგვარად აწესრიგებენ ერთსადაიმევე ურთიერთობებს, სამართლის ნორმათა **კოლიზია** ეწოდება. კოლიზია შეიძლება არსებობდეს მხოლოდ ერთიდაიგივე დონის სამართლის ნორმათა

ურთიერთწინააღმდეგობისას. კოლიზიის დროს გამოყენებული უნდა იქნას სპეციალური და უფრო ახალი კანონი.

8. კერძო სამართლის საფუძვლები

სამოქალაქო სამართალი ემყარება და განამტკიცებს კონკრეტულ ღირებულებებს, რომლებიც ქმნიან კერძო სამართლის ფუნდამენტებს.

1. ადამიანის, როგორც თავისუფალი პიროვნების, აღიარება.

სამოქალაქო სამართლის ერთ-ერთი ძირითადი საფუძველია თავისუფლება. მისი პრაქტიკული გამოვლინება სამოქალაქო სამართლის მრავალ ინსტიტუტს უდევს საფუძვლად: საცხოვრებელი ადგილის თავისუფლება, ხელშეკრულების დადების თავისუფლება, მეწარმეობის თავისუფლება და ა.შ.

სამოქალაქო სამართალი კეთილსინდისიერების, კეთილი ნების პრეზუმფციას განამტკიცებს. რაც ნიშნავს იმას, რომ კეთილსინდისიერება მხარეთა მოვალეობაა.

კერძო სამართალში თავისუფლება არ არის შეუზღუდავი. მისი შეზღუდვა ერთ შემთხვევაში ხდება კანონის იმპერატიული ნორმებით, მეორე შემთხვევაში კი ხელშეკრულების მონაწილენი თვითვე იზოჰავენ თავს. თავისუფლების შეზღუდვას თავისი ფარგლები აქვს:

I კანონის საფუძველზე თავისუფლების შეზღუდვა არ უნდა ხელყოფდეს ზოგადად თავისუფლებს. შეზღუდვა უნდა იყოს გამონაკლისი, ხოლო თავისუფლება- გაბატონებული წესი.

II კანონი ეხება მხოლოდ ქმედობის გარეგნულ გამოხატულებას და არა მის შინაგან ასპექტებს.

2. კერძო ავტონომია და ხელშეკრულების თავისუფლება.

კერძო ავტონომია ეწოდება კონკრეტულ პირთათვის სამართლით მინიჭებულ და უზრუნველყოფილ შესაძლებლობას ერთმანეთს შორის ურთიერთობა განსაზღვრულ ფარგლებში მოაწესრიგონ გარიგების, განსაკუთრებით ხელშეკრულებების მეშვეობით.

ხელშეკრულების დადების თავისუფლება, როგორც კერძო ავტონომიის მნიშვნელოვანი გამოხატულება, არის შესაძლებლობა დადოს ან არ დადოს პირმა ესა თუ ის ხელშეკრულება, შეარჩიოს მისთვის სასურველი კონტრაქტის ტიპი და ხელშეკრულების მეორე მხარესთან შეთანხმებით თავისუფლად განსაზღვროს ამ ხელშეკრულების შინაარსი.

კერძო ავტონომიის ერთ-ერთი კლასიკური გამოვლინებაა ანდერძის თავისუფლება ე. ი. პირს უფლება აქვს თავისი ქონება ანდერძით დაუტოვოს ნებისმიერ პირს.

კერძო ავტონომია მართალია სამოქალაქო სამართლის საფუძველთ საფუძველია, თუმცა მაინც არაა შეუზღუდავი. მისი შეზღუდვა შესაძლოა გამოწვეული იყოს სახელმწიფო უსაფრთხოებით, მაგ.: აკრძალულია ატომური იარაღით ვაჭრობა.

კერძო ავტონომიის შეზღუდვის მეორე მაგალითია კონტრაქტების (ხელშეკრულების დადების) იძულება, რომელიც გულისხმობს, რომ საწარმოებს, რომლებიც ბაზარზე გაბატონებული მდგომარეობა უკავიათ ("თელასი", "თბილისის წყალი"), არა აქვთ ხელშეკრულების დადებაზე უარის თქმის უფლება. ისინი ვალდებული არიან დადონ ხელშეკრულებები.

3. კერძო საკუთრება.

საქართველოს კონსტიტუციამ საკუთრებას განამტკიცა, როგორც ძირითადი უფლება (21-ე მუხლი). ქართულმა სამოქალაქო სამართალმა უარყო საბჭოური რედიმენტები სამართლის ე. წ. ფორმებად დაყოფა და ოპერატიული მართვისა და სრული სამეურნეო გამგებლობის ინსტიტუტები.

9. სამოქალაქო უფლებების ცნება და სახეები, შეძენისა და შეწყვეტის საფუძვლები

სამოქალაქო უფლება არის სამოქალაქო ურთიერთობის მონაწილეებისთვის მინიჭებული ძალაუფლება დაიცვან საკუთარი ინტერესები. მათ შორის, სასამართლოს მეშვეობითაც. სამოქალაქო უფლებები განსხვავდება ერთმანეთისგან. ყველაზე მნიშვნელოვანია მათი დაყოფა: აბსოლუტურ და რელატიურ უფლებებად. აბსოლუტური უფლება მოქმედებს ნებისმიერი მესამე პირის მიმართ, ვინც ამ უფლებას ხელყოფს. რელატიური უფლებები მოქმედებს მხოლოდ კონკრეტული სამართლებრივი ურთიერთობის ფარგლებში. აბსოლუტურ უფლებებზე არ ვრცელდება სასარჩელო ხანდაზმულობის ვადები, მაშინ როცა ფარდობით უფლებებზე ვრცელდება. აბსოლუტური უფლებებია: პირადი უფლებები, პირადი საოჯახო უფლებები და ნივთებსა თუ არამატერიალურ ქონებრივ სიკეთეებზე ბატონობის უფლებები. რელატიურ უფლებებს მიეკუთვნება: მოთხოვნები, აღმჭურველი უფლებები და შესაგებელი. სამოქალაქო სამართალი ერთმანეთისგან განსხვავდება უფლებათა პირველადი და ნაწარმოები შეძენა. უფლების პირველადი წარმოშობის თავისებურება მდგომარეობს იმაში, რომ უფლება შემძენთან თავდაპირველად აღმოცენდება ისე, რომ მას საფუძვლად არ უდევს გარიგება. ნაწარმოებ უფლებათა წარმოშობა ხდება წინამორბედი პირისგან ახალ შემძენზე გადაცემით. სამოქალაქო უფლებები, როგორც წესი, გადაცემადი უფლებებია. უფლების გადაცემის საფუძველი შეიძლება იყოს გარიგება ან კანონი. იმის მიხედვით, თუ რა წარმოადგენს უფლების ობიექტს, უფლებათა გადაცემის წესიც განსხვავდება. უფლებათა გადაცემა არ შეეხება პირად უფლებებს. გარიგების საფუძველზე უფლების შეწყვეტის ყველაზე გავრცელებული შემთხვევებია უარის თქმა უფლებაზე, ან უფლების ვადის გასვლა. მეორე შესაძლებლობაა კანონის საფუძველზე უფლების შეწყვეტა. რომელიც შეიძლება გამოიწვიოს პირის გარდაცვალებამ. უფლების შეწყვეტის მიზეზი შეიძლება გახდეს ნივთის დაღუპვა.

10. სამოქალაქო უფლების განხორციელების ფარგლები.

სამოქალაქო უფლება კერძო სამართლის სუბიექტებისათვის კანონით მინიჭებული შესაძლებლობაა, რომელიც კერძო ავტონომიის პრინციპიდან გამომდინარე მათ შეუძლიათ გამოიყენონ თავისუფლად და შეხედულებისამებრ. მაგრამ ეს ლიმიტირებული თავისუფლებაა და მართლწესრიგი მისი განხორციელების გონივრულ ფარგლებს აწესებს. სამოქალაქო უფლებების მიზანი კერძო ურთიერთობათა მოწესრიგებაა შესაბამისად მათი განხორციელება არ არის დამოკიდებული პოლიტიკურ უფლებებზე. პოლიტიკური უფლებების შეზღუდვა არ იწვევს სამოქალაქო სამართლებრივი მდგომარეობის შეცვლას, რომელსაც სულ სხვა შინაარსი და სოციალური დატვირთვა აქვს. სამოქალაქო კოდექსი ავალდებულებს ურთიერთობის მონაწილე პირებს კეთილსინდისიერად განახორცილონ თავიანთი უფლებები და უნდა განახორციელოს მართლზომიერად, რაც იმას ნიშნავს, რომ უფლება მოსლიმა პირმა უნდა დაიცვას უფლების განხორციელებისთვის კანონით დადგენილი წესი. ასევე უნდა დაზუსტდეს თუ რამდენად შეესაბამება ერთი პირის მიერ უფლების განხორციელება მეორე პირის უფლებას. სამოქალაქო კოდექსი ასევე კრძალავს უფლებათა ბოროტად გამოყენებას. თუ პირი უფლებას გამოიყენებს მარტო იმ მიზნით რომ სხვას ზიანი მიაღგეს (შიკანა) მაშინ სამოქალაქო კოდექსი ბათილად მიიჩნევს უფლების ამგვარ გამოყენებას. ასევე სამართლებრივ სახელმწიფოში მართლმსაჯულების განხორციელების მონოპოლია სახელმწიფოს ხელსია და მოქალაქეებს ეკრძალებათ თავიანთი უფლებების დასაცავად ძალის გამოყენება ე.წ. თვითგასამართლება. სამოქალაქო კოდექსი თვითგასამართლების ე.წ. „მუშტის სართლის“ გამოყენების სამ შემთხვევას ითვალისწინებს: აუცილებელი მოგერიება, უკიდურესი აუცილებლობა, თვითდახმარება.

11 სამოქალაქო სამართლის ობიექტები

საქართველოს სამოქალაქო კოდექსი ობიექტებს განამტკიცებს სანივთო სამართალში. ობიექტი შეიძლება იყოს ქონებრივი ან არაქონებრივი ღირებულების მატერიალური და არამატერიალური სიკეთე, რომელიც კანონით დადგენილი წესით ბრუნვიდან არ არის ამორებული. კერძო სამართლებრივი ურთიერთობის ობიექტი—ქონება— არის ყველა ნივთი და არამატერიალური ქონებრივი სიკეთე, რომელთა ფლობაც, სარგებლობადა განკარგვა შეუძლიათ ფიზიკურ და იურიდიულ პირებს და რომელთა შეძენაც შეიძლება შეუზღუდავად, თუკი ეს არ არის აკრძალული კანონით. სამოქალაქო კოდექსი ობიექტებს ორ დიდ ჯგუფად ყოფს : ნივთებად და არამატერიალურ ქონებრივ სიკეთეებად. ნივთები პირობზულობას მოკლებული, ბრუნვაუნარიანი, პირთა ბატონობას დაქვემდებარებული, ნატურით გამიჯნული და სხეულებრივად ერთიანი საგნებია. ნივთს არ განეკუთვნება ადამიანი ან მისი სხეული, ადამიანის სხეულის

ნაწილები, ვიდრე ისინი ცოცხალი ორგანიზმის ნაწილს წარმოადგენენ, ასევე არ არიან ნივთები. ორგანიზმიდან მათი მოცილებისა და მათზე გარიგების დადების მომენტიდან ისინი ნივთები არიან. ცხოველები არ წარმოადგენენ ნივთებს, ისინი მხოლოდ იურიდიული ფიქციის გზით შეიძლება გავუთანაბროთ ნივთებს, როცა საუბარია ნასყიდობის ან სხვაგვარ გარიგებაზე. ნივთები იყოფა მოძრავ და უძრავ ნივთებას. მათ შორის სამართლებრივი განსხვავება ყველაზე მეტად ჩანს მათზე საკუთრების შეძენისას. უძრავ ნივთებს მიეკუთვნება მიწის ნაკვეთი მასში არსებული წიაღისეულით, მცენარეებით და შენობა–ნაგებობებით. მოძრავია ნებისმიერი ნივთი, რომელიც სამოქალაქო კოდექსით არ არის უძრავი. მოძრავი ნივთები თავისთავად კიდე იყოფა შეცვლად და შეუცვლად, გვაროვნულ და ინდივიდუალური ნიშნით განსაზღვრულ, მოხმარებად და მოუხმარებად ნივთებად. რაც შეეხება არამატერიალურ ქონებრივ სიკეთეებს სამოქალაქო კოდექსი ასახელებს მოთხოვნებს და უფლებებს. უფლებებს, როგორც არამატერიალურ ქონებრივ სიკეთეებს, განეკუთვნება საავტორო და მომიჯნავე უფლებები. მას ასევე განეკუთვნება უფლებები სამრეწველო საკუთრების ობიექტზე. სასელექციო, სასაქონლო ნიშნებზე განსაკუთრებული უფლებები. ასევე უზუფრუქტი, გირავნობის უფლება და ა.შ. ყველა მოთხოვნა, რომელთა დათმობაც სამოქალაქო კოდექსის 198–202–ე მუხლებით არის გათვალისწინებული. შეიძლება განიხილოს როგორც არამატერიალური ქონებრივი სიკეთე. სამოქალაქო სამართლის ობიექტად განიხილება ასევე ნაყოფი. ნივთისა და უფლების ნაყოფს განასხვავებენ, პირველს განეკუთვნება ნამატი და უპირატესობა რასაც ეს ნივთი იძლევა უფლების ნაყოფია ის სემოსავალი, რაც მიიღება ამ უფლების გამოყენების შედეგად. რაც შეეხება ქონებას, ჩვეულებრივ ქონებად მიიჩნევენ ქონებრივი უფლებების ერთობლიობას, რომელი კონკრეტულ პირს ეკუთვნის. ქონება არ არის სანივთო სამართლის ერთი ობიექტი. იგი არ წარმოადგენს ერთიან ობიექტს და მასზე უფლებების დაფიქსირება, როგორც ეს ცალკეული ნივთების დროს ხდება, შეუძლებელია.

12. ფიზიკური პირის უფლებაუნარიანობა

უფლებაუნარიანობა ნიშნავს ნებისმიერი ადამიანის უნარს იყოს სამოქალაქო ურთიერთობების მონაწილე.

ფიზიკური პირის უფლებაუნარიანობა, ანუ უნარი, იყოს სამოქალაქო უფლებების და მოვალეობების სუბიექტი, წარმოიშობა დაბადების მომენტიდან. უფლებაუნარიანობა წარმოიშობა იმ მომენტიდან, როდესაც ჩანასახი დედის ორგანიზმს გამოეყოფა და აკმაყოფილებს ყველა იმ ნიშანს, რასაც თანამედროვე მედიცინა ცოცხალი ბავშვის დაბადებად მიიჩნევს. სამართლებრივად ყურადსაღებია, თუ როდიდან იმსაზურებს ჩანასახი სამოქალაქო კოდექსით გათვალისწინებულ დაცვას. ქართული კოდექსი „მემკვიდრედ ყოფნის უფლებას“ უკავშირებს ჩასახვის მომენტს. ჩანასახის უფლებაუნარიანობის ბუნების შეფასების აღსანიშნავია ორი თეორია: ერთი ჩანასახის

უფლება უნარიანობას მიიჩნევს უპირობოდ, მეორე– პირობთად. იმის გამო რომ სუბიექტი არარსებობს, უნდა ვივარაუდოთ რომ საუბარია შეზღუდულ უფლებაუნარიანობაზე. სამოქალაქო სამართალში აღიარებული აზრის თანახმად, უფლებაუნარიანობის განსაზღვრისას მოქალაქეობას არავითარი მნიშვნელობა არ აქვს. არც პოლიტიკურ შეხედულებებს და არც სქესობრივ განსხვავებას. ფიზიკური პირის უფლებაუნარიანობა წყდება მისი გარდაცვალებით. გარდაცვალების მომენტად კი ითვლება თავის თვინის ფუნქციონირების შეწყვეტა.

13. ფიზიკური პირის ქმედუნარიანობა

ქმედუნარიანობა არის პირის უნარი, თავისი ნებით და მოქმედებით შეიძინოს და განახორციელოს სამოქალაქო უფლებები და მოვალეობები. გარემოებები, რომელთა მიხედვითა განისაზღვრება პირის ქმედუნარიანობა , წარმოადგენს პირის ასაკი და ჯანმრთელობა. ქმედუნარიანობა იწყება პირის სრულწლოვანების მიღწევისთანავე. 7– წლამდე ასაკის არასრულწმოვანი ქმედუნარიანობა. 7წლიდან 18წლამდე არასრულწლოვანი შეზღუდული ქმედუნარიანობის მქონეა. თუმცა პირი , დაქორწინების შემთხვევაში, შეიძლება ქმედუნარიანი გახდეს 16წლის ასაკიდან. ასევე არასრულწლოვანი შეიძლება მიჩნეულ იქნეს შეუძლულად ქმედუნარიანად, თუკი მას მიანიჭებენ საწარმოს დამოუკიდებლად გაძღოლის უფლებას. ჭკუასუსტობის და სულით ავადმყოფობის გამო პირი შეიძლება მიჩნეულ იქნეს ქმედუნარიანოდ. მაგრამ ეს სასამართლოს პრეროგატივაა. შეზღუდული ქმედუნარიანობის მქონეა პირი 7დან 18 წლამდე და ასევე პირი, რომელიც ბოროტად იყენებს ალკოოლს ან ნარკოტიკულ ნივთიერებებს. ქმედუნარიანო პირები კერძოსამართლებრივ ურთიერთობებში უშუალოდ არ მონაწილეობენ, მათ მიერ დადებული ნებისმიერი გარიგება უცილოდ ბათილად ჩაითვლება. შეზღუდული ქმედუნარიანობის მ მქონე პირის მიერ გარიგების დასადებად კი აუცილებელია კანონიერი წარმომადგენლის თანხმობა. რაც შეეხება დელიქტუნარიანობის ინსტიტუტს, იგი შეიძლება განიმარტოს როგორც პირის უნარი, საკუთარი ნებითა და ქონებით აგოს პასუხი მიყენებული ზიანისათვის. მიყენებული ზიანისთვის პასუხს არ აგებენ მხოლოდ ქმედუნარიანოდ აღიარებული პირები, დროებით უგონო მდგომარეობაში ან სულიერი მოშლილობის მდგომარეობაში მყოფი პირები.

X

X

X

რაც შეეხება საქართველოს სამოქალაქო კოდექს , მისი შეტანა შეგვიძლია ყველას ...

კაზუსებზე დაგვჭირდება შემდეგი მუხლები:

მუხლი 11, მუხლი 12, მუხლი 13, მუხლი 14, მუხლი 15, მუხლი 16, მუხლი 58, მუხლი 63,
მუხლი 65.

გისურვებთ წარმატებას !